მიმართულების მიმცემი აღზრდის სტილის გავლენა ბავშვის განათლების მიღების პროცესზე (ტრენინგ-მოდულის „ძლიერი მშობლები - ძლიერი ბავშვების“ მიხედვით)

მარიამ პატარავა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური სამუშაოს ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, სოციალური მუშაობის მაგისტრი ქ-ნ ნინო ნუცუბიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

კვლევის განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - მიმართულების მიმცემი აღზრდის სტილის გავლენა ბავშვის განათლების მიღების პროცესზე. (ტრენინგ-მოდულის „ძლიერი მშობლები - ძლიერი ბავშვების“ მიხედვით.) ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ პატარავა

15.06. 2023

აბსტრაქტი

ბავშვის აღზრდისას გამოყენებული არათანმიმდევრული მიდგომები და ძალადობრივი მეთოდები დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. აღზრდის სტილი და ოჯახური გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების ფსიქო-სოციალურ ფაქტორებზე. ბავშვის საგანმანათლებლო სფეროში, ოჯახს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ის გარკვეულწილად განსაზღვრავს, მოსწავლის აკადემიურ წარმატებასა თუ წარუმატებლობას. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ პოზიტიური მშობლობის უნარები და აღზრდის მეთოდები დადებით გავლენას ახდენს ბავშვის აკადემიურ სფეროზე. პოზიტიური მშობლობის ტრენინგები და სასწავლო პროგრამები ემსახურება მშობლობის უნარების გაუმჯობესებას. განვითარებულ ქვეყნებში, პოზიტიური მშობლობის სასწავლო ტრენინგ-კურსი მიღებული პრაქტიკაა და თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი მოდული. აღნიშნული ტიპის შეხვედრების ძირითად კონცეფციას წარმოადგენს ბავშვის აღზრდის ეფექტური მეთოდების დანერგვა მშობლებში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მიმართულების მიმცემი აღზრდის სტილის გავლენის შეფასება ბავშვების საგანმანათლებლო ცხოვრებაზე. კვლევის რესპონდენტებად შეირჩა „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი საქართველოს“ ოჯახის გაძლიერების პროექტის მონაწილეები, რომლებმაც გაიარეს პოზიტიური მშობლობის ტრენინგ-მოდული „ძლიერი მშობლები - ძლიერი ბავშვები“. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ მშობლების პოზიტიური მეთოდებითა და ტექნიკებით აღჭურვა, ხელს უწყობს ბავშვების მოტივაციის ზრდასა და თვითეფექტურობის განცდის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება ბავშვების საგანმანათლებლო ცხოვრებაზე. ძირითადი საძიებო სიტყვები : აღზრდის მეთოდები, პოზიტიური მშობლობის ტრენინგები, განათლების მიღების პროცესი .

Abstract

Inconsistent approaches and violent methods are still a problem during child raising. Parenting style and family environment have a significant impact on psycho-social factors of child development. In the educational field of the child, the family has a special role. To some extent it determines student's academic success or failure . Based on the scientific literature, we may conclude that positive parenting skills and parenting methods have a positive effect on a child's academic achievement. the main concept of the meetings is to improve parenting methods .In developed countries, positive parenting training courses are accepted practice and each has its own module.

The purpose of this study is to evaluate the influence of authoritative parenting style on children's educational life . The respondents of the present study are participants of the project of "SOS Children's Villages of Georgia" which passed the positive parenting training - "Strong parents - strong children".

Based on the analysis of the research results, it became clear that providing parents with positive methods helps to increase children's motivation and build a sense of self-efficacy, which in turn has a positive impact on children's educational life.

Key words : Parenting methods, positive parenting trainings, education process.